



**Shape the future
with confidence**

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ივლისი - სექტემბერი 2025

საქართველოს მთავრობის დადგენილება „ინოვაციების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ სტატუსებთან დაკავშირებით

- ▶ 2025 წლის 30 სექტემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №424, რომლითაც განისაზღვრა „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საშეღავათო რეჟიმით მოქმედი კომპანიების სტატუსების მინიჭების/გაუქმების წესები და პირობები, ისევე როგორც სხვა პროცედურული საკითხები.
- ▶ „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს ინოვაციების სფეროში მოქმედი კომპანიებისთვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შემდეგი სტატუსებიდან ერთ-ერთი:
 - ▶ ინოვაციური სტარტაპის სტატუსი - საწარმო სარგებლობს მოგების გადასახადისა და გადახდილ ხელფასებზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადის შეღავათით.
 - ▶ ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსი - საწარმოს მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა მცირდება კვლევისა და განვითარებისთვის გაწეული ხარჯებით.
 - ▶ კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწვევი კომპანიის სტატუსი - საწარმო სარგებლობს მოგების გადასახადისა და გადახდილ ხელფასებზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით.
- ▶ №424 დადგენილებით განისაზღვრა აღნიშნული სტატუსების მისაღებად დადგენილი მოთხოვნები, წარსადგენი განცხადების განხილვის წესი, სტატუსის გახანგრძლივების/გაუქმების მოთხოვნები, ყოველწლიური შესაბამისობის დადგენის პირობები და სხვა საკითხები.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 30/09/2025.

ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის წესი და ინოვაციების რეესტრის წარმოების ინსტრუქცია

- ▶ 2025 წლის 24 სექტემბერს ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციის წესი და ინოვაციების რეესტრის წარმოების ინსტრუქცია გამოქვეყნდა.
- ▶ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო კომპანიას ინოვაციების რეესტრში არეგისტრირებს მისთვის ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის ან კვლევისა და განვითარების მომსახურების გამწვევი კომპანიის სტატუსის მინიჭებიდან 1 (ერთ) სამუშაო დღეში.

- ▶ ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის ან/და კვლევისა და განვითარების მომსახურების კომპანიის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში, ინოვაციის რეესტრში რეგისტრირდება სტატუსის გაუქმების შესახებ ინფორმაცია.
- ▶ ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის ან/და კვლევისა და განვითარების მომსახურების კომპანიის სტატუსის მოქმედების მაქსიმალური ვადის (10 წელი) გასვლის შემდეგ, ინოვაციების რეესტრში რეგისტრირდება სტატუსის გაუქმების შესახებ ინფორმაცია.
- ▶ საინვესტიციო ფონდმა, ანგელოზ ინვესტორთა ქსელმა და აქსელერატორმა ინოვაციების რეესტრში რეგისტრაციისთვის რეესტრის ვებგვერდის მეშვეობით განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს.
- ▶ განისაზღვრა საინვესტიციო ფონდის, ანგელოზ ინვესტორთან ქსელისა და აქსელერატორის მიერ რეგისტრაციისთვის წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია.
- ▶ საინვესტიციო ფონდმა, ანგელოზ ინვესტორთა ქსელმა და აქსელერატორმა ინოვაციების რეესტრიდან ამორიცხვისთვის სააგენტოს უნდა მიმართონ რეესტრიდან ამორიცხვის შესახებ განაცხადით.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 24/09/2025.

ახალი მეთოდური მითითება საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხის შემცირების თაობაზე

- ▶ 2025 წლის 26 სექტემბერს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის №20688 ბრძანება მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე, რომელიც შეეხება საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50%-ის გაუქმებას.
- ▶ მეთოდური მითითება განმარტავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-11 ნაწილის დანაწესს, რომელიც ითვალისწინებს საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების განახევრებას, კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
- ▶ მეთოდური მითითება განმარტავს, რომ შეღავათის მისაღებად აუცილებელია გადასახადის გადამხდელმა:
 - ▶ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში ბიუჯეტში გადაიხადოს საგადასახადო შემოწმებით განსაზღვრული ძირითადი გადასახადის თანხა სრულად, და ჯარიმების თანხის 50%; და
 - ▶ საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული თანხების აღიარების მიზნით წარადგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ“ განცხადება.
- ▶ მეთოდური მითითება განიხილავს შეღავათით სარგებლობის საილუსტრაციო მაგალითებს და აწესებს, რომ შეღავათით სარგებლობისთვის გადასახადის გადამხდელმა მისი ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან (<https://eservices.rs.ge>) საგადასახადო ორგანოს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 26/09/2025.

ცვლილებები „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონში

- ▶ 2025 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა გამოაქვეყნა კანონპროექტი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონის ცვლილებების შესახებ.
- ▶ ცვლილებებით ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება დაადგინოს სისტემურად ან გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული მომსახურების საკომისიოს გაანგარიშების წესი ან/და საკომისიოს ზედა ზღვარი.
- ▶ სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ზედა ზღვარი იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთათვის, რომლებიც წარმოადგენენ სისტემურ კომერციულ ბანკებს ან/და ასეთი ბანკის ჯგუფში შემავალ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, განისაზღვრა 0.5%-ით.
- ▶ სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკი ან სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკის ჯგუფში შემავალი საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია, განსაზღვროს სავაჭრო ობიექტის საკომისიოს მინიმალური თვიური ჯამური ოდენობა 30 ლარამდე, თუ სავაჭრო ობიექტიდან მიღებული საკომისიოს თვიური ჯამი არ აღემატება 30 ლარს.
- ▶ ცვლილებებით განისაზღვრა გამონაკლისები, რომლებზეც არ გავრცელდება სავაჭრო ობიექტის საკომისიოსთან დაკავშირებული ნორმები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №197/04

- ▶ 2025 წლის 21 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა მიიღო ბრძანება „მწვანე, სოციალური, მდგრადობის და მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების სტატუსის მინიჭების, შენარჩუნების და გაუქმების წესის დამტკიცების თაობაზე.“
- ▶ წესით განისაზღვრება ობლიგაციისთვის „მწვანე ობლიგაციის“, „სოციალური ობლიგაციის“, „მდგრადობის ობლიგაციის“ ან „მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის“ სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და გაუქმების პირობები.
- ▶ წესით იკრძალება ობლიგაციის სახელწოდებაში ან აღწერაში სიტყვების „მწვანე“, „სოციალური“, „მდგრადობის“, „მდგრადობასთან დაკავშირებული“ და მსგავსი ტერმინების გამოყენება, თუკი ეს ობლიგაცია არ შეესაბამება წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- ▶ წესს თან ერთვის იმ ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთათვისაც უნდა იქნეს გამოყენებული მწვანე, სოციალური ან მდგრადობის სტატუსის მქონე ობლიგაციებით მოზიდული სახსრები.
- ▶ წესი განსაზღვრავს მწვანე, სოციალური ან მდგრადობის ობლიგაციის სტატუსის მიღების მიზნით ემიტენტის მიერ წინასწარ პროსპექტში გასამჟღავნებელ ინფორმაციას.
- ▶ მწვანე, სოციალური ან მდგრადობის სტატუსის მქონე ობლიგაციებით მოზიდული სახსრების სრულად ათვისებამდე, ემიტენტი ვალდებულია საკუთარ ვებგვერდზე, აგრეთვე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge), გამოაქვეყნოს სახსრების ათვისების ანგარიში.
- ▶ წესი ამოქმედდება 2026 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნე](#). 22/08/2025.

უცხოური გრანტის გამცემის მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესი

- ▶ 2025 წლის 7 ივლისს საქართველოს მთავრობამ უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესი მიიღო.
- ▶ განისაზღვრა გრანტზე საქართველოს მთავრობის თანხმობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია, განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი.
- ▶ გრანტის გაცემაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს მთავრობას უნდა წარედგინოს გრანტის ხელშეკრულების წერილობითი პროექტი და დონორის წერილობითი გადაწყვეტილება.
- ▶ საქართველოს მთავრობას დოკუმენტაცია შეიძლება წარედგინოს მატერიალური ან ელექტრონული ფორმით.
- ▶ გრანტის ხელშეკრულების პროექტზე გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს მთავრობას.
- ▶ თუ გრანტის ხელშეკრულების პროექტზე საქართველოს მთავრობამ არ მიიღო გადაწყვეტილება, აღნიშნული ნიშნავს უარს გრანტის გაცემაზე.
- ▶ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას.
- ▶ წესი განსაზღვრავს გამონაკლისებს, როდესაც გრანტის გაცემა არ საჭიროებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი](#). 08/07/2025.

ცვლილებები „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში

- ▶ 2025 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში ცვლილებებს მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა.
- ▶ საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის გამოვლენის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიენიჭება უფლებამოსილება, შეამოწმოს უცხოელის საცხოვრებელი, სამუშაო ან სხვა კერძო საკუთრება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე.

- ▶ თუ არსებობს საშიშროება, რომ უცხოელი შეიძლება მიიმალოს ან განადგურდეს სამგზავრო დოკუმენტები, შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია, დაიწყოს უცხოელის საკუთრების შემოწმება და 24 საათის განმავლობაში მიმართოს მოსამართლეს ბრძანების მოსაპოვებლად.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: [საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი](#). 02/07/2025.

საკონტაქტო ინფორმაცია:



ტატო ჩანტლაძე

მმართველი პარტნიორი

შპს „იუაი“

კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი

ტელ: +995 (32) 215-88-11

Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდლობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2025 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

<http://www.ey.com/georgia>